

მათემატიკა

საერთაშორისო სკოლებისთვის



სალაპარის
გამოცხადობა

9

მოსწავლის წიგნი

ისწავლე და განვითარდი!



სასწავლო რესურსები საუკეთესო შედეგებისთვის

მათემატიკა საერთაშორისო სკოლებისთვის 9
მოსწავლის წიგნი

ადაპტაციის ავტორი თეიმურაზ გელაშვილი
მთარგმნელი ზაზა დობორჯგინიძე
რედაქტორი ოლანი ბინაძე
დიზაინერი ია მახათაძე
ტექნიკური დიზაინერი ვიკა კვარაცხელია

პირველი გამოცემა, 2024
© სულაკაურის გამომცემლობა, 2024
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-37-561-3

Mathematics for International Schools 9
Student's Book

© Pearson Education Limited 2020
Original illustrations © Pearson Education Limited 2020
Cover illustration by Robert Samuel Hanson

The rights of Greg Byrd, Keith Gallick, Sophie Goldie, Catherine Murphy, Su Nicholson, Amy O'Brien and Diane Oliver to be identified as authors of this work have been asserted by them in accordance with the Copyright, Designs and Patents Act 1988.

© Sulakauri Publishing, 2024
All rights reserved.

www.sulakauri.ge

სარჩევი

1 თანრიგის ერთეულები, ხარისხები და სტანდარტული ფორმა

1.1	10-ის ხარისხი	1
1.2	გამოთვლა და შეფასებები	4
1.3	ხარისხი	7
1.4	სტანდარტული ფორმა	9
1.5	STEM: გამოთვლა სტანდარტული ფორმით	11
1	შემოწმება	14
1	განმტკიცება	16
1	გაღრმავება	20
1	ტესტი	23

2 2D ფიგურები და 3D მრავალნახაგები

2.1	პრიზმების ზედაპირის ფართობი	25
2.2	პრიზმის მოცულობა	27
2.3	წრის გარშემოწერილობა – წრენირის სიგრძე	29
2.4	წრის ფართობი	32
2.5	ცილინდრი	35
2.6	პითაგორას თეორემა	37
2	შემოწმება	40
2	განმტკიცება	42
2	გაღრმავება	46
2	ტესტი	50

3 კვადრატული მიმდევრობები

3.1	წრფივი და კვადრატული მიმდევრობები	52
3.2	გეომეტრიული პროგრესია	54
3.3	ფრჩხილების გახსნა	56
3.4	მამრავლებად დაშლა	58
3.5	კვადრატული განტოლებების ამოხსნა	60
3	შემოწმება	62
3	განმტკიცება	64
3	გაღრმავება	68
3	ტესტი	72

4 აგება

4.1	ფიგურების აგება	74
4.2	აგება 1	77
4.3	აგება 2	80
4	შემოწმება	82
4	განმტკიცება	84
4	გაღრმავება	87
4	ტესტი	90

5 უტოლობები, განტოლებები, ფორმულები

5.1	მნიშვნელობების ჩასმა	92
5.2	უტოლობები	95
5.3	ხარისხის მაჩვენებელი	98
5.4	გამოსახულებები, განტოლებები, იგივეობები და ფორმულები	100
5.5	განტოლებები	102
5.6	ფორმულები	105
5	შემოწმება	108
5	განმტკიცება	110
5	გაღრმავება	115
5	ტესტი	119

6 მონაცემთა შეგროვება და ანაზილი

6.1	STEM: გამოკითხვის დაგეგმვა	121
6.2	მონაცემთა შეგროვება	124
6.3	საშუალო და დიაპაზონი	127
6.4	მონაცემთა წარმოდგენა და ანალიზი	129
6	შემოწმება	132
6	განმტკიცება	134
6	გაღრმავება	138
6	ტესტი	142

7 გამრავლების გააზრება

7.1	პირდაპირი პროპორცია	144
7.2	ამოცანები პირდაპირი პროპორციით	146
7.3	გადაადგილებები და გაფართოებები	149
7.4	პომოთეტია უარყოფითი და წილადური კოეფიციენტებით	153
7.5	პროცენტული ცვლილება	156
7	შემოწმება	159
7	განმტკიცება	161
7	გაღრმავება	166
7	ტესტი	170

8 მასშტაბი და ზომები

8.1	რუკა და მასშტაბი	172
8.2	აზიმუტი	174
8.3	მასშტაბები და თანაფარდობები	176
8.4	კონგრუენტული და მსგავსი ფიგურები	178
8.5	გეომეტრიული ამოცანების ამოხსნა	181
8	შემოწმება	184
8	განმტკიცება	186
8	გაღრმავება	190
8	ტესტი	194

9 გაზომვა და სიზუსტე

9.1	ცვლილების სიჩქარე	196
9.2	სიმკვრივე და წნევა	198
9.3	ზედა და ქვედა საზღვრები	201
9	შემოწმება	203
9	განმტკიცება	205
9	გაღრმავება	208
9	ტესტი	211

10 გრაფიკული ამოხსნა

10.1	წრფის გრაფიკის აგება	213
10.2	კვადრატული ფუნქციის გრაფიკი – პარაბოლა	216
10.3	განტოლებების სისტემები	219
10.4	$y = mx + c$ განტოლების გამოყენება	222
10.5	ისევ განტოლებათა სისტემები	225
10.6	გრაფიკები და განტოლებათა სისტემები	228
10	შემოწმება	231
10	განმტკიცება	233
10	გაღრმავება	238
10	ტესტი	243

11 ტრიგონომეტრია

11.1	ტანგენსი	245
11.2	სინუსი	248
11.3	კოსინუსი	251
11.4	კუთხების პოვნა ტრიგონომეტრიის გამოყენებით	254
11.5	ტრიგონომეტრიული ამოცანები	257
11	შემოწმება	259
11	განმტკიცება	261
11	გაღრმავება	265
11	ტესტი	269

12 ალბათობა

12.1	სიმრავლეები და ვენის დიაგრამები	271
12.2	ალბათობის დიაგრამები	273
12.3	ხის დიაგრამა	276
12.4	ექსპერიმენტული და თეორიული ალბათობები	279
12	შემოწმება	281
12	განმტკიცება	283
12	გაღრმავება	287
12	ტესტი	291



გაეცანი მოსწავლის წიგნის სტრუქტურას

თავდაჯერებულობა • მყარი ცოდნა • პრობლემის გადაჭრა • პროგრესი

გვჯერა, ახალი კურსის დაწყება შენთვის საინტერესო იქნება. მათემატიკის სწავლით სიამოვნებასაც მიიღებ, თავდაჯერებულობასაც აიმაღლებ და შედეგებსაც გააუმჯობესებ. ამას საფუძვლიანი ცოდნის მიღებითა და შესაბამისი [უნარების](#) განვითარებით შეძლებ.

ზოგიერთი ამოცანა აღნიშნულია, როგორც **STEM**. ისინი მათემატიკისა და რეალური ცხოვრების მჭიდრო კავშირს გაჩვენებს.

მინიშნებები უცნობ ტერმინებს აგიხსნის, სტრატეგიები კი ამოხსნის მეთოდის შერჩევაში გეხმარება.

ყოველდღიურ ცხოვრებაში მათემატიკის გამოყენებას გაცილებით ეფექტურად შეძლებ. ამას მოდელირებაზე, დასაბუთებაზე, პრობლემის გადაჭრასა და რეალურ სიტუაციებზე მუშაობით მიაღწევ. დისკუსიისას მოგინევს, შენი მოსაზრება დაასაბუთო და მეცნიერებათან ერთად ახალ იდეებზე იმსჯელო.


მიზნებში ახსნილია, თუ რას ისწავლი კონკრეტულ პარაგრაფში.

რუბრიკაში რატომ სწავლობ?
შეიტყობ, როგორ უნდა გამოიყენო მათემატიკა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გაიხსენ ნაცნობი მასალის ცოდნას გაგიაქტიურებს და სიახლეებისთვის მოგამზადებს.

პირველი კითხვები მოთხოვისთვისაა. აქ შეგიძლია აჩვენო, რა იცი კონკრეტული თემისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

ახალ დავალებაზე მუშაობისას შეგიძლია ამოხსნის ნიმუში და მინიშნებები დაიხმარო.



რუბრიკაში
დაიმახსნები სისტემის შემთხვევაში, მათ გადატანილი და გამოიყენება მათემატიკური სისტემის შემთხვევაში.

გამოიკვლიო ცხოვრებისეული პრობლემა მსჯელობითა და ექსპერიმენტების გზით. პარაგრაფის ბოლოს იმ უნარებს შეიძენ, რომლებიც გამოიყენება მათემატიკური უნარების პრაქტიკულად გამოყენებაში და გეხმარებაში.

ყოველი პარაგრაფის ბოლოს საშუალება გამოიყენება მათემატიკური სისტემის შემთხვევაში. ამას მოდელირებაზე, დასაბუთებაზე, პრობლემის გადაჭრასა და რეალურ სიტუაციებზე მუშაობით მიაღწევ. დისკუსიისას მოგინევს, შენი მოსაზრება დაასაბუთო და მეცნიერებათან ერთად ახალ იდეებზე იმსჯელო.



შემოწმება ცოდნის განმტკიცებასა და გაღრმავებაში დაგეხმარება.

9 განმტკიცება

ამ საზოგადოების შემთხვევაში
+ სამართლებულობის მიერ მომავალი და გამომისახურება

ფრენის მიმღების სიჩრდე

1. ირავნობით კონკურენციული მომავალი და გამომისახურება

2. სამართლებულობის მიერ მომავალი და გამომისახურება

9 შემოწმება

ცვლილების სიჩრდე

1. სამართლებულობის მიერ მომავალი და გამომისახურება

გაღრმავება დაგეხმარება, მათემატიკური ცოდნა ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოიყენო. განმტკიცებაცა და გაღრმავებაც ცოდნის გამდიდრებასა და კვლევას ემსახურება.

9 გაღრმავება

ამ საზოგადოების შემთხვევაში
+ კონკურენციული მომავალი და გამომისახურება

9 ტესტი

1. მარტინი მასა 52 გ გრძელებას მიუმართა.
ა. სიკენის მისა დავ სახეობო
ბ. სიკენის მისა დავ სახეობო
2. კლავის სიმა 400 გ გრძელებას მიუმართა.
ა. კლავის მისა დავ სახეობო
ბ. კლავის მისა დავ სახეობო

STEM გაკვეთილები

ასეთი პარაგრაფები STEM
მათემატიკაზეა ორიენტირებული.
STEMაბრევიატურაა, რომელიც მეცნიერებას, ტექნოლოგიას, ინჟინერიასა და მათემატიკას ნიშნავს. ამ პარაგრაფებში შეიტყობ, როგორ იყენებენ საქველმოქმედო მოდო ორგანიზაციები მათემატიკას სახსრების მოზიდვისას, როგორ აკონტროლებენ ინჟინერები წყლის ნაკადს მდინარეებში, რატომ ანათებს პრილიანტი და ა. შ.

1 თანამდებობის ერთეულები, ხარისხისა და სტანდარტული ფორმა

1.1 10-ის ხარისხები

1. სტანდარტული ფორმა

2. მასა

3. კლავის მისა დავ სახეობო

4. STEM მომავალი

5. STEM მომავალი

6. STEM მომავალი

7. STEM მომავალი

8. STEM მომავალი

1.1 10-ის ხარისხები

ამ პარაგრაფში ისწავლი:

- 10-ის ხარისხების გამოყენებას.
- 10-ის ხარისხების გამომსახველი პრეფიქსების გამოყენებას.
- 10-ის ხარისხებზე არითმეტიკული მოქმედებების ჩატარებას.



რატომ სწავლობ?

ბაიტი კომპიუტერის ციფრული მეხსიერების ერთეულია. 1 მეგაბაიტი 10^6 ბაიტია, ხოლო 1 გეგაბაიტი $- 10^9$ ბაიტი.

გაიხსენე

$$\begin{aligned}10^2 \times 10^3 &= 10^5 \\10^4 \times 10 &= 10^5 \\10^7 \div 10^5 &= 10^2 \\10^8 \div 10^2 &= 10^6\end{aligned}$$



გამოიკვლიერეთ

რამდენი ფოტოს შენახვა შეგიძლია 1 ტერაბაიტიან სერვერზე?

სავარჯიშო 1.1

1. შეუსაბამე ზედა სტრიქონის თითოეული მნიშვნელობა ქვედა სტრიქონის ტოლ მნიშვნელობას.

$$\begin{array}{cccc}10^2 & 10^4 & 10^3 & 10^5 \\1000 & 100\ 000 & 100 & 10\ 000\end{array}$$

2. გამოთვალე:

- $4,5 \times 10$
- $2,36 \times 1000$
- $0,843 \times 100$
- $1,45 \times 10\ 000$
- $270 \div 10$
- $4685 \div 1000$
- $35 \div 100$
- $450 \div 10\ 000$

დაიმახსოვრეთ

თითოეული რიცხვი ცხრილში ათის ხარისხს წარმოადგენს. ეს იმიტომ, რომ ათობით სისტემას ვიყენებთ.

3. გადაიხაზე ცხრილი და შეავსე გამოტოვებული სათანრიგო ერთეულების ხარისხების მნიშვნელობები.

\dots	$10\ 000$	1000	100	10	1	\dots	$\frac{1}{10}$	$\frac{1}{100}$	$\frac{1}{1000}$	$\frac{1}{10\ 000}$	\dots
\dots	10^4	10^3	10^2	10^1	10^0	\dots	10^{-1}	10^{-2}	10^{-3}	10^{-4}	\dots

$\div 10 \quad \div 10$

4. STEM

ცხრილში მოცემულია ათის ხარისხების გამომსახველი პრეფიქსები.

პრეფიქსი	ასო	ხარისხი	რიცხვი
ტერა	ტ	10^{12}	1 000 000 000 000
გიგა	გ	10^9	1 000 000 000
მეგა	მ	10^6	1 000 000
კილო	კ	10^3	1 000
დეცი	დ	10^{-1}	0,1
სანტი	ს	10^{-2}	0,01
მილი	მ	10^{-3}	0,001
მიკრო	მ	10^{-6}	0,000 001
ნანო	ნ	10^{-9}	0,000 000 001
პიკო	პ	10^{-12}	0,000 000 000 001

დაიმახსოვრე

10-ის ზოგიერთ ხარისხს აქვს სახელი – პრეფიქსი. მაგ., 10^6 -ის პრეფიქსი არის მეგა, როგორც მეგაბაიტში.



მინიშნება

პრეფიქს „მიკრო“-ს აღსანიშნად ვიყენებთ ბერძნული ასო μ-ს, რომელიც გამოითქმის, როგორც მიუ.



- ა. დაუმატე პრეფიქსები მესამე კითხვის ცხრილს.
- ბ. გრამი (გ) მასის ერთეულია. რამდენი გრამია ერთ კილოგრამში (კგ)?
- გ. ჯოული (ჯ) ენერგიის ერთეულია. რამდენი ჯოულია ერთ მეგაჯოულში (მგჯ)?
- დ. ვატი (ვტ) სიმძლავრის ერთეულია. რამდენი ვატია ერთ მეგავატში (მვტ)?

5. STEM გადაიყვანე:

- ა. 4 კილოგრამი (კგ) გრამებში (გ).
- ბ. 2,4 მეგაჯოული (მგჯ) ჯოულებში (ჯ).
- გ. 2,5 გიგავატი (გვტ) ვატებში (ვტ).

6. STEM რამდენჯერ მეტია:

- ა. მილიმეტრი ნანომეტრზე?
- ბ. გიგავატი მეგავატზე?
- გ. კილოჯოული ჯოულზე?
- დ. მეგაგრამი კილოგრამზე?

დისკუსია სხვა რა სახელი არსებობს მეგაგრამის აღსანიშნად?



ამოხსნის ნიმუში

დედამიწიდან ვენერამდე საშუალო მანძილია $1,08 \times 10^8$ კმ.

დანწერე ეს მანძილი ჩვეულებრივი რიცხვის სახით. ————— ჯერ დაწერე 10^8 ჩვეულებრივ რიცხვად.

$$1,08 \times 10^8 = 1,08 \times 100\,000\,000 = 108\,000\,000 \text{ კმ}$$

7. STEM ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ზოგი პლანეტის შესახებ.

პლანეტის სახელი	პლანეტის დიამეტრი (კმ)	განძილი მზაობე (კმ)
მერკური	$4,9 \times 10^3$	$5,79 \times 10^7$
დედამიწა	$1,28 \times 10^4$	$1,5 \times 10^8$
სატურნი	$1,2 \times 10^5$	$1,427 \times 10^9$

ა. გადაიხაზე ცხრილი და ჩანსერე თითოეული მანძილი ჩვეულებრივი რიცხვის სახით.

ბ. რომელ პლანეტას აქვს ყველაზე დიდი დიამეტრი?

გ. რომელი პლანეტაა ყველაზე ახლოს მზესთან?

დისკუსია როგორ შეგიძლია უპასუხო ბ-ს და გ-ს, მანძილის ჩვეულებრივი ფორმით ჩანსერის გარეშე?

8. STEM / პრობლემის გადაჭრა დაშვებისას კოსმოსური ხომალდის მასა $1,1 \times 10^5$ კგ იყო. რამდენი ტონაა ეს?

მე-8 კითხვის მინიშნება

1 ტონა = 1000 კგ.

9. STEM ცხრილში მოცემულია ზოგი მცირე ზომის ორგანიზმის განზომილებები.

ორგანიზმის სახელი	სიგრძე	სიგანე
ტკიპა	0,42 მილიმეტრი	0,25 მილიმეტრი
ბაქტერია	2 მიკრომეტრი	0,5 მიკრომეტრი
ვირუსი	0,3 მიკრომეტრი	15 ნანომეტრი

ა. დაწერე თითოეული ორგანიზმის ზომა მეტრებში.

ბ. რომელი ორგანიზმია ყველაზე გრძელი?

გ. რომელი ორგანიზმია ყველაზე განიერი?

დისკუსია როგორ უპასუხებ ბ-ს და გ-ს ზომების ჩვეულებრივ რიცხვებად ჩანსრის გარეშე?

10. STEM / მსჯელობა ატომი ყველაზე მცირე ზომის ობიექტია, რომლის დანახვაც ელექტრონული მიკროსკოპითაა შესაძლებელი. ატომის სიგანე დაახლოებით $0,1$ ნანომეტრია. რამდენი მილიმეტრია ეს?

11. გამოიკვლიერეთ რამდენი ფოტოს შენახვა შეგიძლია 1 ტერაბაიტიან სერვერზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ახლა უფრო ადვილი ხომ არაა? რა დამატებითი ინფორმაცია გჭირდება კითხვაზე საპასუხოდ?

12. დაფიქრდი ამ პარაგრაფის შემდეგ ლიდა ამბობს:

„ამ პარაგრაფში ყველაფერი კარგად გავიგე, რადგან ის, ძირითადად, სათანრიგო ერთეულების შესახებაა.“

გადაავლე თვალი ამ პარაგრაფში შესრულებულ დავალებებს.

რაში დაგეხმარა სათანრიგო ერთეულები? სხვა რა

მათემატიკური უნარები გამოიყენე ამ პარაგრაფში?

მე-9 კითხვის მინიშნება

ობიექტის განზომილებები მის ზომებს გულისხმობს.



1.2 გამოთვლები და შეფასებები

ამ პარაგრაფში ისწავლი:

- ხარისხის მაჩვენებლებით გამოთვლების შესრულებას.
- თანრიგის ერთეულებამდე დამრგვალებას.



რატომ სწავლობ?

სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზატორები ხშირად ამრგვალებენ მაყურებელთა სავარაუდო რაოდენობას, რათა პილეთების მოსალოდნელი ფასი განსაზღვრონ.

გაიხსენე

რამდენია:

$$\begin{aligned} 2^3? \\ 2^4? \\ 2^5? \\ 2^6? \end{aligned}$$



გამოიკლვი

როდისაა ხელსაყრელი რიცხვების დამრგვალება? როდის – არა?

სავარჯიშო 1.2

1. გაამარტივე:

$$\text{ა. } 5^2 \times 5^4 \quad \text{ბ. } \frac{8^5}{8^3} \quad \text{გ. } \frac{7^4 \times 7^6}{7^7}$$

2. გამოთვალე:

$$\text{ა. } (-4) \times -4 \quad \text{ბ. } (-7) \times -7 \quad \text{გ. } (-3)^2 \quad \text{დ. } (-10)^2$$

3. გამოიყენე დამრგვალების მეთოდი და გამოთვალე.

$$\text{ა. } 97 \div 4 \quad \text{ბ. } 12,3 \times 10,2 \quad \text{გ. } 18,6 \div 5$$

4. გამოიანგარიშე: $\frac{2 \times 3^9}{3^7}$

$$\frac{2 \times 3^9}{3^7} = 2 \times 3^{\square}$$

$$\begin{aligned} &= 2 \times \square \\ &= \square \end{aligned}$$

5. გამოთვალე:

$$\text{ა. } \frac{5 \times 2^{12}}{2^9} \quad \text{ბ. } \frac{3^2 \times 4^4}{4^3} \quad \text{გ. } \frac{2 \times 5^3 \times 5^5}{5^4} \quad \text{დ. } \frac{6^{15} \times 10}{6^7 \times 6^6}$$

6. პრობლემის გადაჭრა გამოთვალე: $\frac{2^8 \times 16 \times 32 \times 7}{8 \times 2^{10}}$

7. მსჯელობა სოფომ და ლუკამ ერთი და იგივე გამოთვლა შეასრულეს.

სოფო

$$\begin{aligned} 32 - (-5)^2 &= 32 - (-25) \\ &= 32 + 25 \\ &= 57 \end{aligned}$$

ლუკა

$$\begin{aligned} 32 - (-5)^2 &= 32 - (+25) \\ &= 32 - 25 \\ &= 7 \end{aligned}$$

რომელია სწორი? რა შეცდომა დაუშვა ერთ-ერთმა?

დაიმახსოვრე

ხარისხის შემცველი გამოსახულების გამარტივება გამოთვლებს გაგიოოლებს.

მოთხოვა

მე-4 კითხვის მინიშნება

გამოანგარიშება მნიშვნელობის გამოთვლას ნიშნავს.



მე-4 კითხვის მინიშნება

გამარტივე 3-ის ხარისხი, $\frac{3^9}{3^7}$ = შემდეგ გაამრავლე 2-ზე.

მე-6 კითხვის მინიშნება

დაწერე როცხვების მაქსიმალური რაოდენობა 2-ის ხარისხებად.



8. დააწყვილე ბარათები.

$$14 + 4^2$$

$$14 - 4^2$$

$$14 + (-4)^2$$

$$14 - (-4)^2$$

$$25 - 2^2 - 6^2$$

$$25 - (-2)^2 + 6^2$$

$$25 - 2^2 + (-6)^2$$

$$25 - 2^2 - (-6)^2$$

დისკუსია რა მეთოდი გამოიყენე?

კვლევა

მსჯელობა

1. a. გამოთვალე: 1. $(2 \times 5)^2$ 2. $2^2 \times 5^2$
b. გამოთვალე: 1. $(2 \times 5)^3$ 2. $2^3 \times 5^3$
2. რას ამჩნევ პირველი კითხვის პასუხებში?
3. a. დაწერე ნამრავლის ხარისხში აყვანის წესი.
შეამონე ეს წესი შენი რიცხვებით.
ბ. იმუშავებს თუ არა ეს წესი სამი ან მეტი რიცხვისთვის?
4. a. გამოთვალე: 1. $(10 \div 2)^2$ 2. $10^2 \div 2^2$
b. რას ამჩნევ ა-ს პასუხში?
5. დაწერე განაყოფის ხარისხში აყვანის წესი.
6. a. გამოთვალე: 1. $(3 + 4)^2$ 2. $3^2 + 4^2$
b. რას ამჩნევ ა-ს პასუხში?

მე-5 კითხვის მინიშნება

დარწმუნდი, რომ რიცხვი ზუსტად იყოფა მეორეზე და ხარისხის მაჩვენებელი 2-ზე მეტია.



დისკუსია არსებობს თუ არა გამოკლებისას და მიმატებისას ხარისხში აყვანის წესი?

9. გამოთვალე:

a. $\frac{(3 \times 4)^2}{2^2 \times 3}$

b. $\frac{(3 \times 4)^3}{2^2 \times 9}$

c. $\frac{32 \times 5^3}{(5 \times 4)^2}$

d. $\frac{(6 \times 2 \times 8)^2}{4^3 \times 3}$

ამოხსნის ნიმუში



დაამრგვალე რიცხვები მოცემულ სათანრიგო ერთეულამდე.

- a. 42,038 (მეათედამდე)
- b. 0,05713 (მეათიათასედამდე)
- c. 21561 (ათასეულამდე)

როცა მომდევნო ციფრი 5 ან მეტია, ერთით გაზარდე წინამდებარე ციფრი. აქ მეათედია 8, ამიტომ 3 დაამრგვალე 4-მდე.

d. 42,04

e. 0,0571

f. 22 000

მეათიათასედია 3, ამიტომ მეათიათასე-დის ადგილზე დატოვე ციფრი 1.

ასეულია 5, ამიტომ 1 ათასეული დამრგვალდება მეტობით, 2-ად.

დაიმახსოვრე



რიცხვები შეგიძლია რომელიმე სათანრიგო ერთეულამდე დაამრგვალო.

10. დაამრგვალე რიცხვები თანრიგის მოცემულ ერთეულამდე.

- a. 47,368 (მეასედამდე)
- b. 0,00662 (მეათასედამდე)
- c. 579 452 (ათიათასეულამდე)

11. გამოთვალე თითოეულის მიახლოებითი პასუხი ერთეულამდე დამრგვალებით.

- ა. 37×492
- ბ. 6230×26
- გ. $897 \div 28$
- დ. $45239 \div 183$

12. შეაფასე გამოსახულების მიახლოებითი მნიშვნელობა თითოეული რიცხვის ერთეულამდე დამრგვალებით.

- ა. $\frac{(1,2 + 3,5)^2}{1,8^3}$
- ბ. $\frac{(27 - 14)^3}{7,3^2}$
- გ. $\frac{(3,3^2 \times 2)}{(2,3 + 4,2)^2}$
- დ. $\frac{(786 - 529)^2}{7,4^2}$



13. მოცემულია მართკუთხა პარალელეპიპედი (კუბოიდი).



გამოთვალე მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობა. პასუხი დაწერე m^3 -ში მეათედამდე სიზუსტით.

14. პრობლემის გადაჭრა იამ ჩაიფიქრა მთელი რიცხვი და დაამრგვალა ათეულამდე სიზუსტით. მან მიიღო 670.

- ა. დაწერე ორი რიცხვი, რომლებიც შესაძლოა იას ჩაიფიქრებინა.
- ბ. რომელია იას ჩაფიქრებული ყველაზე დიდი შესაძლო რიცხვი?
- გ. რომელია იას ჩაფიქრებული ყველაზე მცირე შესაძლო რიცხვი?

15. STEM ცხრილში მოცემულია ხუთი პლანეტის დიამეტრები.

პლანეტა	მერკური	ვენერა	დედამიწა	მარსი	ურანი
დიამეტრი (კმ)	4878	12 104	12 756	6794	51 118

- ა. დაამრგვალე თითოეული ათეულამდე სიზუსტით.
- ბ. დამრგვალების შემდეგ განსაზღვრე ამ მონაცემების დიაპაზონი.

16. სინამდვილე საფეხბურთო მოედანზე 42 785 ადგილია. ბილეთის საშუალო ფასია 32 ლარი. დაახლოებით რამდენია ერთი მატჩის შემოსავალი?

17. გამოიკვლიერდი როდისაა ხელსაყრელი რიცხვების დამრგვალება? როდის – არა?

18. დაფიქრდი დაუბრუნდი მე-12 კითხვას.

კალკულატორით გამოთვალე ზუსტი პასუხები.
როგორ დაგეხმარება შენი შეფასებები კალკულატორით
მიღებული პასუხების შემოწმებაში?

მე-11 კითხვის მინიშნება

$$37 \times 492 \approx 40 \times 500 = \square$$

განმარტება

≈ ნიშნავს „უდრის მიახლოებით“.

მე-12 კითხვის მინიშნება

$$\frac{(1,2 + 3,5)^2}{1,8^3} \approx \frac{5^2}{8}$$

რა რიცხვია 8-ის ჯერადი და არის ახლოს 5^2 -თან?

1.3 ხარისხი

ამ პარაგრაფში ისწავლი:

- უარყოფითი ხარისხების გამოყენებას.
- ხარისხების შემცველ წილადებზე მუშაობას.



რატომ სწავლობ?

რადიოიზოტოქობური მეთოდი იყენებს უარყოფით ხარისხებს C-14 იზოტოპის დაშლის პერიოდით ბიოლოგიური ნარჩენების ასაკის დასადგენად.

გაიხსენე

- გამოთვალე: $3^3 - 4^2$
- რომელი მეტია: $\frac{1}{2} \times \frac{1}{2}$ თუ $\frac{1}{3} \times \frac{1}{3}$?
- გამოთვალე: $(-15) \times (-3)$



გამოიკვლიე

ხარისხში აყვანა ყოველთვის ზრდის რიცხვს?

სავარჯიშო 1.3

1. დაწერე ერთი რიცხვის ხარისხის სახით.

ა. $3^4 \times 3^5$

ბ. $7^9 \div 7^5$

გ. $4^{13} \div 4^{10}$

დ. $(2^4)^3$

ე. $(11^7)^3$

ვ. $(5^5)^5$

ზ. 8×2^6

თ. $3^5 \times 81$

ი. $5^{10} \div 125$

1-ელი კითხვის მინიშნება

ხარისხების გამრავლებისას შეკრიბე ხარისხის მაჩვენებლები, გაყოფისას კი გამოაკელი. ხარისხის ხარისხის გამოთვლისას გაამრავლე მაჩვენებლები.

კვლევა

1. გადაიწერე და დაასრულე ხარისხების მიმდევრობა.
2. გაიმეორე იგივე 2-ის ხარისხებისთვის.
3. გადაიწერე და დაასრულე.

ა. $10^{-2} = \frac{1}{10^{\square}}$

ბ. $2^{-3} = \frac{1}{2^{\square}}$

გ. $2^{-5} = \frac{1}{2^{\square}}$

დ. 10^4 -ის შებრუნებულია \square

4. დაასრულე წესი.

$2^{-n} = \frac{1}{2^{\square}}$

$10^{-n} = \frac{1}{10^{\square}}$

5. ჩაწერე 5^2 ათწილადის სახით. შეამოწმე კალკულატორით.

დისკუსია რას უდრის რიცხვი აყვანილი 0 ხარისხში?

2. გადაიწერე და დაასრულე.

ა. $3^{-2} = \square$

ბ. $\frac{1}{3} = 3^{\square}$

გ. $6^{\square} = \frac{1}{36}$

დ. $\square^{-2} = \frac{1}{169}$

ე. $4^{-3} = \square$

ვ. $\frac{1}{81} = 3^{\square} = 9^{\square}$

ზ. $\frac{1}{64} = 8^{\square} = 4^{\square} = 2^{\square}$

თ. $5^{-1} = \square$

$$10^5 = 100\,000$$

$$10^4 = 10\,000$$

$$10^3 =$$

$$10^2 =$$

$$10^1 =$$

$$10^0 =$$

$$10^{-1} =$$

$$10^{-2} =$$

$$10^{-3} =$$

$$10^{-4} =$$

$$10^{-5} =$$

მსჯელობა



3. ჩანერე თითოეული ერთი ხარისხით.
- ა. $10^5 \times 10^{-2}$
ბ. $11^{-2} \times 11^{-5}$
გ. $6^{-2} \div 6^4$
ბ. $(9^{-2})^5$
- პ. $4^3 \times 4^{-1}$
დ. $7^2 \div 7^{-5}$
ვ. $8^{-7} \div 8^{-3}$
თ. $(12^{-4})^{-2}$

4. ჩანერე თითოეული გამოსახულება:

1. ერთი რიცხვის სახით.
2. მთელი რიცხვის ან წილადის სახით.
- ა. $3^2 \times 3^{-1} \times 3^{-4}$
ბ. $4^2 \times 4^{-1} \div 4^{-2}$
გ. $5^{-3} \div 5 \div 5^{-2}$
დ. $\frac{2^{-3} \times 2^{-5}}{2^{-4}}$

5. ჩანერე წილადის სახით.

- ა. $\frac{1}{3} \times \frac{1}{3}$
ბ. $\left(\frac{3}{4}\right)^2$
გ. $\left(\frac{3}{5}\right)^3$
დ. $\left(\frac{2}{3}\right)^4$

6. ჩანერე ხარისხში აყვანილი წილადის სახით.

- ა. $\frac{16}{100}$
ბ. $\frac{9}{49}$
გ. $\frac{25}{64}$
დ. $\frac{8}{64}$
ვ. $\frac{16}{625}$
ზ. $\frac{1}{27}$

7. **პრობლემის გადაჭრა** დათამ ნახევარი ორცხობილა შეჭამა, მისმა
ძმამ – დარჩენილის ნახევარი, დამ კი – ამ დარჩენილის ნახევარი.
ორცხობილის რა ნაწილი დარჩა? დანერე პასუხი:

- ა. წილადის სახით.
ბ. ხარისხში აყვანილი წილადის სახით.

8. **გამოიკვლიერეთ** ხარისხში აყვანა ყოველთვის ზრდის რიცხვს?
ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ახლა უფრო ადვილი ხომ არაა?
რა დამატებითი ინფორმაცია გჭირდება კითხვაზე საპასუხოდ?

9. დაფიქრდი მედეა ამბობს: „მათემატიკა ხშირად
კანონზომიერებების ამოცნობის გულისხმობა.“
ეთანხმები მედეას?
პასუხი დაასაბუთე.

მე-3 კითხვის მინიშნება

ხარისხის წესები მოქმედებს
უარყოფითი ხარისხებისთვისაც.

მე-5 კითხვის მინიშნება

ფრჩხილები აჩვენებს, რომ
ხარისხში მთელი წილადი აგყავს
(მრიცხველიც და მნიშვნელიც).

მე-9 კითხვის მინიშნება

გადახედე ამ და წინა პარაგრაფს.
იპოვე დავალებები, სადაც კანონ-ზომიერების ამოცნობა დაგჭირდა.

1.4 სტანდარტული ფორმა

ამ პარაგრაფში ისწავლი:

- სტანდარტული ფორმით რიცხვების ჩანერას.
- სტანდარტული ფორმით ჩანერილი რიცხვების დალაგებას.




რატომ სწავლობ?
სამყაროს
შესწავლისას
მეცნიერებს
დიდი რიცხვების
მარტივად ჩანერა
სჭირდებათ.

გაიხსენე

გაამრავლე 3,05

- 10-ზე.
- 1000-ზე.
- 0,1-ზე.

გამოთვალე: $10^3 \times 0,15$



გამოიკვლიე

რა ერთეულები გამოიყენება
სამყაროში მანძილების გასაზომად?

სავარჯიშო 1.4

1. გამოთვალე:

- | | |
|--------------------------|--------------------------|
| ა. $2,5 \times 100$ | ბ. $7,3 \times 0,01$ |
| გ. $4,06 \times 10^{-1}$ | დ. $9,55 \times 10^{-3}$ |

2. გადაიწერე და დაასრულე.

- | | |
|---------------------------------------|-------------------------------------|
| ა. $23,4 \times 10^3 = \square$ | ბ. $2,35 \times 10^{\square} = 235$ |
| გ. $34 \times 10^{\square} = 34\,000$ | დ. $0,067 \times 10^2 = \square$ |

3. რომელია სტანდარტული ფორმით ჩანერილი?

- | | |
|----------------------|---------------------------|
| ა. $2,8 \times 10^3$ | ბ. 7×10^5 |
| გ. $0,2 \times 10^2$ | დ. 27×10^{-5} |
| ე. $3,3 \times 10$ | ვ. $5,022 \times 10^{-6}$ |

4. ჩანერე ჩვეულებრივი რიცხვების სახით.

- | | |
|----------------------|--------------------------|
| ა. 7×10^2 | ბ. $2,5 \times 10^{-5}$ |
| გ. $5,4 \times 10^6$ | დ. $3,04 \times 10^{-3}$ |

დაიმასსოვნე



ალგებრულად რომ ვთქვათ,
სტანდარტული ფორმით
ჩანერილი რიცხვი არის $a \times 10^n$,
სადაც $1 \leq a < 10$ და n არის
მთელი რიცხვი.

მე-4 კითხვის მინიშნება

$$7 \times 10^2 = 7 \times 100 = \square$$

ამოხსნის ნიმუში

ჩანერე სტანდარტული ფორმით.

ა. 41 000

ბ. 0,003 94

$41\,000 = 4,1 \times 10^4$

$0,003\,94 = 3,94 \times 10^{-3}$

4,1 მდებარეობს 1-სა და 10-ს შორის.

გაამრავლე 10-ის ხარისხზე 41 000-ის მისაღებად.

3,94 მდებარეობს 1-სა და 10-ს შორის. გაამრავლე 10-ის იმ ხარისხზე, რომ თავდაპირველი რიცხვი მიიღო. რიცხვი 1-ზე ნაკლებია, ამიტომ გამოიყენე უარყოფითი ხარისხი.



5. ჩანერე სტანდარტული ფორმით.

- | | | |
|----------|------------|--------------------|
| ა. 23500 | ბ. 315 | გ. 12 000 000 |
| დ. 0,04 | ე. 0,00035 | ვ. 0,000 000 090 1 |

6. STEM მანძილს, რომელსაც სინათლე წელიწადში ფარავს, სინათლის წელიწადი ეწოდება.

ა. ჩანერე თითოეული მანძილი სტანდარტული ფორმით.

სხეული	მანძილი დაღამიშვილი
გალაქტიკის ცენტრი	26 000
ანდრომედა (მეზობელი გალაქტიკა)	2 500 000
ბეთელგეიზე (ორიონის ვარსკვლავი)	600

ბ. სამკუთხედის გალაქტიკა ყველაზე შორეული გალაქტიკაა, რომელიც ტელესკოპის გარეშე ჩანს. ის ჩვენგან 3×10^6 სინათლის წელიწადითაა დაშორებული. ეს გალაქტიკა უფრო ახლოსაა დედამიწასთან თუ ბეთელგეიზე?

7. დაალაგე ზრდის მიხედვით.

- | | | | | |
|--------------------------|----------------------|-----------------------|-----------------------|-----------------------|
| ა. $9,87 \times 10^2$ | $8,65 \times 10^4$ | $1,9 \times 10^3$ | $3,59 \times 10^2$ | $1,95 \times 10^4$ |
| ბ. $5,3 \times 10^{-3}$ | $4,8 \times 10^{-2}$ | $3,99 \times 10^{-5}$ | $8,05 \times 10^{-6}$ | $8,76 \times 10^{-3}$ |
| ვ. $3,22 \times 10^{-2}$ | $3,02 \times 10^2$ | $3,2 \times 10^{-3}$ | $3,22 \times 10^2$ | $3,22 \times 10^{-3}$ |

8. STEM / პრობლემის გადაჭრა ცხრილში მოცემულია მზის სისტემის პლანეტების მასები.

ა. ჩანერე თითოეული მასა სტანდარტული ფორმით.

პლანეტა	მასა (კგ)
დედამიწა	$5,97 \times 10^{24}$ კგ
იუპიტერი	1899×10^{24} კგ
მარსი	$0,642 \times 10^{24}$ კგ
მერკური	$0,33 \times 10^{24}$ კგ
ნეპტუნი	102×10^{24} კგ
სატურნი	$568,5 \times 10^{24}$ კგ
ურანი	$86,8 \times 10^{24}$ კგ
ვენერა	$4,87 \times 10^{24}$ კგ

ბ. დაახლოებით რამდენჯერ უფრო მძიმეა დედამიწა მარსზე?

გ. რომელი პლანეტა მარსზე დაახლოებით 1000-ჯერ მძიმე?

9. STEM დაალაგე ატომები ბირთვის ზომების კლების მიხედვით.

ათომი	პირთვის ზომა (მ)
ოქრო	$1,4 \times 10^{-14}$
ჰელიუმი	$3,8 \times 10^{-15}$
ალუმინი	$7,2 \times 10^{-15}$

10. STEM ჩანერე მოცემული ზომები ჩვეულებრივი რიცხვის სახით

1. მეტრებში. 2. მილიმეტრებში.

ა. ოპტიკური ბოჭვის ბირთვის დიამეტრი: $6,25 \times 10^{-5}$ მ.

ბ. მიკროპროცესორის სიგანე: $1,8 \times 10^{-7}$ მ.

11. გამოიკვლიერა ერთეულები გამოიყენება სამყაროში მანძილების გასაზომად?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ახლა უფრო ადვილი ხომ არაა?

რა დამატებითი ინფორმაცია გჭირდება კითხვაზე საპასუხოდ?

12. დაფიქრდი დაუბრუნდი მეშვიდე კითხვას. ჩვეულებრივი რიცხვებით ამოხსენი თუ სტანდარტული ფორმით? რომელ მეთოდს ანიჭებ უპირატესობას?

პასუხი დაასაბუთე.

მე-7 კითხვის მინიშნება

დაწერე თითოეული რიცხვი ჩვეულებრივი ფორმითაც.


მე-10 კითხვის მინიშნება

1 მეტრში 1000 მმ-ია, ამიტომ გაამრავლე 10-ის ხარისხზე.

1.5 STEM: გამოთვლა სტანდარტული ფორმით

ამ პარაგრაფში ისწავლი:

- სტანდარტული ფორმით ჩანსერილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულებას.




რატომ სწავლობ?

ნაოტექნოლოგიებზე მომუშავე მეცნიერებს პატარა რიცხვების მარტივად ჩანსერა სჭირდებათ.

გაიხსენე

ჩანსერე 10-ის ხარისხის სახით.

- $10^4 \times 10^3$
- 10×10^{-5}
- $(10^2)^{-3}$
- $10^2 \times 10^3 \times 10^3$



გამოიკვლი

რომელია ყველაზე პატარა ორგანიზმი, რომლის დანახვაც შეგიძლია?

სავარჯიშო 1.5

1. ჩანსერე თითოეული სტანდარტული ფორმით.

- a. 59 000 b. 0,0601
c. 0,000 000 072 d. 5323

2. ჩანსერე 10-ის ხარისხის სახით.

- a. $10^{-3} \times 10^2$ b. $10^{-3} \times 10^{-2}$
c. $10^3 \div 10^{-1}$ d. $10^{-1} \div 10^2$

ამოხსნის ნიმუში

დანსერე $(2,7 \times 10^3) \times (4 \times 10^2)$ სტანდარტული ფორმით.

$$(2,7 \times 10^3) \times (4 \times 10^2) = 2,7 \times 4 \times 10^3 \times 10^2$$

$$= 10,8 \times 10^5$$

$$= 1,08 \times 10 \times 10^5$$

$$= 1,08 \times 10^6$$

ნამრავლი გადაალაგე ისე, რომ 10-ის ხარისხები ერთად იყოს, ხოლო რიცხვები ერთად.

გამოთვალე რიცხვების ნამრავლი და გამოიყენე ხარისხების გამრავლების წესი.

თუ საჭიროა, პასუხი გადაწერე სტანდარტული ფორმით: $10,8 = 1,08 \times 10^1$

3. გამოთვალე თითოეული და ჩანსერე სტანდარტული ფორმით.

- a. $(1,2 \times 10^2) \times (3 \times 10^3)$ b. $(1,5 \times 10^5) \times (5 \times 10^3)$
c. $(4 \times 10^4) \times (6,25 \times 10)$ d. $(1,2 \times 10^3)^2$

4. გამოთვალე და პასუხი ჩანსერე სტანდარტული ფორმით.

- a. $\frac{6 \times 10^8}{3 \times 10^2}$ b. $\frac{8 \times 10^5}{2 \times 10^3}$
c. $\frac{1,2 \times 10^2}{3 \times 10}$ d. $\frac{2 \times 10^5}{1,25 \times 10^4}$

მე-4 კითხვის მინიშნება

გამოთვალე რიცხვების განაყოფი და გამოიყენე ხარისხების გაყოფის წესი 10-ის ხარისხების-თვის.



5. გამოთვალე კალკულატორით.

a. $(9,6 \times 10^7) \times (6,41 \times 10^3)$ b. $\frac{1,342 \times 10^{11}}{6,1 \times 10^5}$

დისკუსია რომელი ლილაკები გამოიყენე? პასუხი სტანდარტული ფორმითაა?



6. STEM სინათლის სიჩქარეა 299792458 მეტრი წამში (მ/წ).

a. დაწერე სინათლის სიჩქარე კმ/წმ-ში, ერთეულამდე სიზუსტით:

1. ჩვეულებრივი რიცხვის სახით. 2. სტანდარტული ფორმით.
მანძილი მზიდან დედამინამდე არის $1,496 \times 10^8$ კმ.

b. გამოიყენე ა კითხვის პასუხი და გამოთვალე, რა დრო დასჭირდება
მზის სხივს დედამინამდე მოსალნევად, ერთი წუთის სიზუსტით.



7. STEM / პრობლემის გადაჭრა ბგერის სიჩქარეა $3,4 \times 10^2$ მ/წმ.

რა თანაფარდობაა სინათლისა და ბგერის სიჩქარეებს შორის?
დაამრგვალე მეორე ათწილადის თანრიგამდე.

მე-7 კითხვის მინიშნება

სინათლის სიჩქარე მე-6 კითხვაშია.

8. STEM / მსჯელობა ადამიანის თმის დიამეტრია დაახლოებით

1×10^{-1} მმ. ადამიანის თვალს თმაზე უფრო მცირე ობიექტების
აღქმა არ შეუძლია.

ოპტიკურ მიკროსკოპს აბიექტის 1000-ჯერ გადიდება შეუძლია.
შესაძლებელია თუ არა ამ აბიექტების მიკროსკოპით დანახვა?

- | | |
|-----------------|--------------------|
| ა. პოლიომიელიტი | 2×10^{-5} |
| ბ. ერითროციტი | 1×10^{-2} |
| გ. სტაფილიკოკი | 5×10^{-4} |



9. STEM / მოდელირება ცხრილში სხვადასხვა ორგანიზმის
კვერცხების ზომებია მოცემული.

ობიექტი	დიამეტრი (მ)
ეპიორნისი (გადაშენებული)	$2,5 \times 10^{-1}$
სირაქლემა	$1,5 \times 10^{-1}$
კოლიბრი	1×10^{-2}
ზღვის ვარსკვლავი	9×10^{-4}

გამოფენისთვის სირაქლემას კვერცხის მოდელი დაამზადეს.
მისი დიამეტრია 10 მ. იგივე მასშტაბი გამოიყენეს სხვა კვერცხების
მოდელებისთვის.

- ა. გამოთვალე თითოეულის დიამეტრი. შეარჩიე შესაბამისი ზომის
ერთეულები მათთვის.
ბ. არის თუ არა ეს კარგი მასშტაბი მოდელისთვის?
შეძლებ თითოეული მოდელის ხელში დაჭრას?

10. STEM 3D ელექტრონული მიკროსკოპი ობიექტს მილიონჯერ
ადიდებს. წყლის მოლეკულის დიამეტრია 2×10^{-10} მ.

რა ზომის გამოჩნდება ის მიკროსკოპში?
პასუხი დაწერე მილიმეტრებში.



11. STEM გრაფიტი გრაფენის ფენებისგანაა აგებული.

თითოეული ფენა ერთი ატომის სისქისაა. 1 მმ სისქის გრაფიტში
 3×10^6 გრაფენის შრეა. თუ ფენების სისქეს უგულებელვყოფთ,
რამხელაა დამორება ფურცლებს შორის?
პასუხი ჩანარჩული სტანდარტული ფორმით, მილიმეტრებში.

მე-11 კითხვის მინიშნება

გრაფენის ფენების მცირე სისქე
 $1,4 \times 10^{-10}$ მეტრი შეგიძლია
გამოთვლებში უგულებელყო.

 **12. STEM** მოცემულია ელექტრომაგნიტური სპექტრის ზოგი ტალღის სიგრძე:

გამა სხივები	$1 \times 10^{-12} \Omega$
წითელი სინათლე	$6,8 \times 10^{-7} \Omega$
მიკროტალღები	$1,22 \times 10^{-1} \Omega$
ულტრამოკლე რადიოტალღები	3 Ω
დაბალი სიხშირის რადიოტალღა	$10 \text{ k}\Omega$

- a. რამდენი გამა სხივის ტალღის სიგრძე ეტევა წითელი სინათლის ტალღაში?
- b. რამდენჯერ უფრო გრძელია დაბალი სიხშირის რადიოტალღა მიკროტალღებზე?
- c. რომელი უფრო გრძელია: 10^2 დაბალი სიხშირის რადიოტალღა თუ 3×10^{10} წითელი სინათლის?

13. STEM / პრობლემის გადაჭრა პროტონის მასა დაახლოებით 2000-ჯერ აღემატება ელექტრონისას.

გადაიწერე და დაასრულე წინადადება: ელექტრონის მასა = პროტონის მასა $\square \times 10^n$. გამოიყენე სტანდარტული ფორმა.

14. სინამდვილე / STEM მზის სათვალეზე თხელი ფენაა წასმული, ულტრაიისფერი რადიაციისგან დასაცავად. ამ შრეების სისქეა 4×10^2 ნანომეტრი. დაწერე სისქე მეტრებში.

 **განმარტება**

$$16\text{m} = 1 \text{ ნანომეტრი} = 10^{-9} \text{ m}$$

15. სინამდვილე ფრჩხილი წამში დაახლოებით ერთი ნანომეტრით იზრდება. რამდენით გაიზრდება ფრჩხილი 4 კვირაში? პასუხი დაწერე მილიმეტრებში.

16. გამოთვალე და პასუხი ჩანსერე სტანდარტული ფორმით.

- | | |
|--|---|
| a. $5,1 \times 10^8 + 1,45 \times 10^8$ | d. $9,05 \times 10^5 + 7,8 \times 10^5$ |
| g. $6,75 \times 10^{-4} + 4,25 \times 10^{-4}$ | f. $3,9 \times 10^7 + 4,2 \times 10^6$ |
| e. $5,6 \times 10^{-4} + 2,07 \times 10^{-3}$ | |

მე-16 დ კითხვის მინიშნება

ორივე რიცხვს ერთნაირი ხარისხის მაჩვენებლი უნდა ჰქონდეს $4,2 \times 10^6 = \square \times 10^7$.

17. გამოთვალე:

- | | |
|--|---|
| a. $9,6 \times 10^{-7} - 6,3 \times 10^{-7}$ | d. $8,88 \times 10^4 - 8,37 \times 10^4$ |
| g. $5,33 \times 10^6 - 2,8 \times 10^5$ | f. $7,02 \times 10^{-3} - 6,1 \times 10^{-4}$ |

18. STEM ხილული სინათლის ტალღის სიგრძეები

$3,8 \times 10^{-7}$ მ-დან $7,5 \times 10^{-7}$ მეტრამდეა.

რა არის ხილული სპექტრის ტალღის სიგრძეების დიაპაზონი?

19. გამოიკვლიერეთ რომელია ყველაზე პატარა ორგანიზმი, რომლის დანახვაც შეგიძლია? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ახლა უფრო ადვილი ხომ არაა? რა დამატებითი ინფორმაცია გჭირდება კითხვაზე საპასუხოდ?

20. დაფიქრდი როგორ ფიქრობ, რაში დაეხმარებათ მეცნიერებს ამ პარაგრაფში მოცემული საკითხების ცოდნა?

1 შემონმება

10-ის ხარისხები

1. ა. გადაიხაზე და შეავსე პრეფიქსების ცხრილი.

პრეფიქსი	ხარისხი	რიცხვი
გიგა	10^9	
მეგა	10^6	
კილო	10^3	1000
დეცი	10^{-1}	
ცენტი	10^{-2}	
მილი	10^{-3}	0,001
მიკრო	10^{-6}	

- ბ. დააწყვილე ერთნაირი მნიშვნელობის ბარათები.

50 000 მილიგრამი

5000 კილოგრამი

5 გრამი

0,005 კილოგრამი

5 მეგაგრამი

500 დეციგრამი

2. დაალაგე რიცხვები ზრდის მიხედვით.

$$4,6 \times 10^4$$

$$8,9 \div 10^5$$

$$2,1 \times 10^5$$

$$2,4 \div 10^7$$

გამოთვლა და შეფასება

3. დამრგვალების გამოყენებით გამოთვალე:

ა. $13,3 \times 12,8$

ბ. $24,8 \div 5,2$


4. გამოთვალე დაახლოებით.

ა. $\frac{3^3 \times 5}{2}$

ბ. $\frac{4^2 \times 3}{2^3}$

5. გამოთვალე სამკუთხედის ფართობი.

პასუხი ჩანერე მეათედის სიზუსტით.



ხარისხები

6. დაწერე ნილადის სახით.

ა. 5^{-3}

ბ. 6^{-1}

გ. 2^{-4}

7. დაწერე ერთი რიცხვის ხარისხის სახით.

- ა. $10^3 \times 10^{-4}$
- ბ. $3^{-2} \div 3$
- გ. $(3^{-2})^3$
- დ. $7^{-5} \div 7^{-2}$

სტანდარტული ფორმა

8. ჩაწერე სტანდარტული ფორმით.

- ა. 345
- ბ. $34,5 \times 10^3$
- გ. $0,005 \times 10^6$

9. 0,007231 დაწერე სტანდარტული ფორმით.

10. დაალაგე ზრდის მიხედვით.

$$3,1 \times 10^{-2} \quad 3,2 \times 10^{-3} \quad 3,22 \times 10^3 \quad 3,022 \times 10^4 \quad 3,2 \times 10^{-5}$$

გამოთვლა სტანდარტული ფორმის გამოყენებით

11. გამოთვალე თითოეული. პასუხი ჩაწერე სტანდარტული ფორმით.

- ა. $(4,1 \times 10^{-6}) \times (2 \times 10^3)$
- ბ. $\frac{6 \times 10^3}{1,5 \times 10^2}$

12. გამოთვალე და ჩაწერე:

1. სტანდარტული ფორმით
 2. ჩვეულებრივი რიცხვის სახით
- ა. $\frac{23,31 \times 10^5}{3,7 \times 10^7}$
 - ბ. $(7,09 \times 10^2) \times (6,3 \times 10^3)$

13. დედამიწაზე არსებული რკინის მასაა $2,090 \times 10^{24}$ კგ.

იმის გათვალისწინებით, რომ დედამიწის მასაა $5,972 \times 10^{24}$ კგ,
დედამიწის მასის რამდენი პროცენტია რკინა?

14. რამდენად დარწმუნებული ხარ შენს პასუხებში?

- :(ვარაუდით ვუპასუხე. :(ეჭვი მეპარება.
:) თავდაჯერებული ვარ.

გამოიყენე შედეგები ცოდნის გასაღრმავებლად.

გამოწვევა

14. $a = 2,3 \times 10^6$ და $b = 2,3 \times 10^{-3}$

გამოთვალე:


- ა. a^2
- ბ. b^3
- გ. a^3b^4
- დ. $\frac{a}{b^6}$

პასუხი ჩაწერე სტანდარტული ფორმით.

1 განმტკიცება

ამ პარაგრაფში შეძლებ:

- ნასწავლის განმტკიცებას პრაქტიკით.




10-ის ხარისხები

1. შეავსე:

- კილო (კ) = $10^3 = 1000$
- მეგა (მგ) = $10^6 = \square$
- გიგა (გ) = $10^9 = \square$

დაიმახსოვრე



მინიშნება

აბრევიატურის დასაწერად
დაწერე პრეფიქსის ასო საზომი
ერთეულის ასოს წინ:
კგ – პიკომეტრი

2. გადაიყვანე:

- 6,5 ტმ კმ-ში.
- 0,014 მ ნმ-ში.
- 50 000 ნმ მმ-ში.
- 2200 კმ მმ-ში.
- 0,000 0006 გმ მმ-ში.

მე-2 კითხვის მინიშნება

$$6,5 \times 1000 \times 1000 \times 1000 = \square$$

3. გადაიყვანე:

- 5 კილოჯოული (კჯ) ჯოულებში (ჯ).
- 0,021 მეგავატი (მვტ) ვატებში (ვტ).
- 270 000 ლიტრი მლ-ში.
- 720 მიკროგრამი გრამებში.

4. STEM

- სანდროს კომპიუტერის პროცესორის სიჩქარეა 6,1 მეგაჰერცი.
რა იქნება მისი სიჩქარე კილოჰერცებში?
- წითელი სინათლის ტალღის სიგრძეა 690 ნ.
გადაიყვანე ეს სიგრძე მიკრომეტრებში.

გამოთვლა და მიახლოება


- გადაიწერე რიცვები, შემოხაზე უფროსი (უდიდესი) თანრიგის ერთეული და დაწერე მისი მნიშვნელობა.
 ა. 32,45 ბ. 0,64 გ. 25800 დ. 0,0782
- დაამრგვალე პირველი კითხვის რიცვები ერთეულამდე სიზუსტით.
- დაამრგვალე მოცემულ თანრიგის ერთეულამდე.
 ა. 53876 (ათასეული) ბ. 0,735 (მეასედი)
 გ. 56,554 (მეათედი) დ. 0,0024106 (მეასიათასედი)

მე-2 კითხვის მინიშნება

შემოხაზე უფროსი თანრიგის ერთეული. ის ათეულის ადგილზეა,
ამიტომ დაამრგვალე ათეულამდე.

მე-3 კითხვის მინიშნება

შემოხაზე უფროსი თანრიგის ერთეული. რომელ ადგილზეა ის?



4. დაამრგვალე თითოეული რიცხვი უფროსი თანრიგის ერთეულამდე. შემდეგ შეაფასე გამოსახულების მნიშვნელობა.
- ა. 44×273 ბ. 67×534 გ. $421 \div 18$ დ. $(585 \div 33)^2$

მე-4 ა კითხვის მინიშნება $44 \rightarrow 40, 273 \rightarrow 300, 40 \times 300 = \square$ **ხარისხის მაჩვენებელი**

1. ა. $1 \cdot 3^2 \div 3^5 = 3^{\square}$

2. $3^2 \div 3^5 = \frac{3 \times 3}{3 \times 3 \times 3 \times 3 \times 3} = \frac{\square}{\square}$

3. პასუხების გამოყენებით დაასრულე: $3^{-3} = \frac{1}{3^{\square}}$

ბ. გადაიწერე და დაასრულე.

ა. $7^{-2} = \frac{1}{7^{\square}}$ ბ. $4^{-5} = \frac{1}{4^{\square}}$ გ. $\frac{1}{9^3} = 9^{\square}$ დ. $\frac{1}{5^7} = 5^{\square}$

2. გადაიწერე და დაასრულე.

ა. $7^2 \times 7^{-4} = 7^{2 + -4} = 7^{\square}$

ბ. $3^{-1} \times 3^5 = 3^{\square + \square} = 3^{\square}$

გ. $5^{-4} \times 5$

დ. $8^2 \div 8^6 = 8^{\square - \square} = 8^{\square}$

ე. $4^{-3} \div 4^{-5}$

ვ. $\frac{10^3}{10^7}$

ზ. $(5^{-2})^3 = 5^{-2 \times \square} = 5^{\square}$

თ. $(6^5)^{-4}$

3. მე-2 კითხვის რომელი პასუხებია 1-ზე ნაკლები?

1-ელი ა კითხვის მინიშნება

ხარისხების გამოთვლის რომელი წესის გამოყენება შეგიძლია?

სტანდარტული ფორმა


1. გამოთვალე:

- ა. $3,7 \times 10^3$
ბ. $2,5 \times 10^4$
გ. $8,1 \times 10^2$
დ. $5,4 \times 10^7$

2. გამოთვალე:

- ა. $9,3 \times 10^{-3}$
ბ. $7,3 \times 10^{-2}$
გ. $1,5 \times 10^{-4}$
დ. $4,9 \times 10^{-6}$

3. სტანდარტული ფორმით ჩანერილი რიცხვი ასე გამოიყერება:



ჩანერე თითოეული სტანდარტული ფორმით.

- ა. $3100 = 3,1 \times 10^{\square}$ ბ. 29000
გ. 7150000 დ. 69000000000

1-ელი ა კითხვის მინიშნება

3,7

3 7 0 0

 $3,7 \times 10^3$ ნიშნავს 3,7 10-ზე


3-ჯერ.

მე-2 ა კითხვის მინიშნება

9,3

0,0 0 9 3

 $9,3 \times 10^{-3}$ ნიშნავს 9,3 გაყავი
10-ზე 3-ჯერ.



4. ჩანს რე თითოეული სტანდარტული ფორმით.

- ა. $0,0064 = 6,4 \times 10^{\square}$
- ბ. 0,072
- გ. 0,000 004
- დ. 0,000 000 021

5. დაალაგე ზრდის მიხედვით.

- | | | | |
|-----------------------|----------------------|--------------------|-----------------------|
| ა. $1,8 \times 10^5$ | $3,7 \times 10^{-2}$ | $9,4 \times 10^2$ | $6,9 \times 10^{-7}$ |
| ბ. 4×10^{-1} | $4,2 \times 10^{-2}$ | $4,22 \times 10^2$ | $2,4 \times 10^2$ |
| | | | $2,44 \times 10^{-1}$ |

მე-4 ა კითხვის მინიშნება

6,4

0,0 0 6 4

რამდენჯერ ყოფ 6,4-ს 10^{-8} -ე,
რათა მიიღო 0,0064?

მე-5 კითხვის მინიშნება

დააკვირდი 10 -ის ხარისხებს.
თუ ერთნაირი ხარისხბია, დაა-
ლაგე პირველი მამრავლების
მიხედვით.

გამოთვლა სტანდარტული ფორმით

1. გამოთვალე და პასუხი ჩანს რე სტანდარტული ფორმით.

- ა. $(3 \times 10^4) \times (2,6 \times 10^5) = 3 \times 2,6 \times 10^4 \times 10^5 = \square \times 10^{\square}$
- ბ. $(1,7 \times 10^5) \times (2 \times 10^3)$
- გ. $(5 \times 10^2) \times (2,5 \times 10^8)$
- დ. $\frac{6,6 \times 10^6}{2,2 \times 10^2} = \frac{6,6}{2,2} \times \frac{10^6}{10^2} = \square \times 10^{\square}$
- ვ. $\frac{7,8 \times 10^3}{3 \times 10^7}$
- ზ. $\frac{2 \times 10^9}{8 \times 10^5}$



2. გამოთვალე და პასუხი ჩანს რე სტანდარტული ფორმით.

- ა. $(6,41 \times 10^5) \times (1,8 \times 10^7)$
- ბ. $(3,7 \times 10^{-3}) \times (9,3 \times 10^{10})$
- გ. $\frac{55,8 \times 10^9}{6,2 \times 10^2}$
- დ. $\frac{2,136 \times 10^3}{3,56 \times 10^8}$

3. დედამიწიდან მზემდე საშუალო მანძილია დაახლოებით

$1,5 \times 10^8$ კმ. სინათლის სიჩქარეა 3×10^8 მ/წმ.


რა დრო სჭირდება სინათლეს მზიდან დედამიწამდე
მოსალწევად?

მე-2 ა კითხვის მინიშნება

გამოიყენე 10^x ღილაკი
კალკულატორზე.

მე-3 კითხვის მინიშნება

გამოიყენე ერთნაირი ერთეულები.



4. პრობლემის გადაჭრა რამდენია ამ წიგნის ფურცლის სისქე?

ამის გასაგებად:

- გაარკვიე, რამდენი ფურცელია წიგნში.
- სახაზავის გამოყენებით გაზომე წიგნის მთლიანი სისქე.
- კალკულატორის გამოყენებით გამოთვალე თითოეული ფურცლის სისქე. ჩანერე პასუხი სტანდარტული ფორმით.
- გადაიყვანე პასუხი სანტიმეტრებიდან ნანომეტრებში.

5. სინამდვილე დაალაგე ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობები ზრდის მიხედვით.

ქვეყანა	მოსახლეობა (ივლისი 2014)
ბრიტანეთი	$6,411 \times 10^7$
ახალი ზელანდია	$4,540 \times 10^6$
ისლანდია	$3,263 \times 10^5$
იაპონია	$1,271 \times 10^8$
სენტ-ლუსია	$1,8 \times 10^5$
ბრაზილია	$2,028 \times 10^8$

6. სინამდვილე გამოიყენე მე-5 ამოცანის ცხრილში მოცემული ინფორმაცია და უპასუხე კითხვებს.

- დანერე ისლანდიის მოსახლეობა ჩვეულებრივი რიცხვის სახით.
- გამოთვალე ცხრილში მოცემული ყველა ქვეყნის მოსახლეობა.
- რამდენჯერ მეტია ბრიტანეთის მოსახლეობა სენტ-ლუსიას მოსახლეობაზე?

7. STEM ელექტრონის მასაა $9,109 \times 10^{-31}$ კგ.

- რამდენი ელექტრონია 1 კგ ელექტრონებში?
- პროტონის მასაა $1,673 \times 10^{-27}$ კგ. რამდენი ელექტრონია ერთი პროტონის ტოლი მასის?

გამდიდრება

8. დედამიწაზე ოკეანეები $3,62 \times 10^8$ კმ² ფართობს იკავებენ, მათი საშუალო სიღრმეა $3,68 \times 10^4$ მ.

გამოყენე ეს ინფორმაცია დედამიწაზე არსებული ოკეანეების მოცულობის გამოსათვლელად. პასუხი ჩანერე სტანდარტული ფორმით.

9. დაფიქტდი კოტე ამბობს: „ხარისხის მაჩვენებლებსა და ფესვებზე მუშაობა მიმატებას, გამოკლებას, გამრავლებასა და გაყოფას ნიშნავს.“ გადახედე ამ პარაგრაფის დავალებებს და გაიხსენე, სად გამოიყენე:

- მიმატება
- გამოკლება
- გამრავლება
- გაყოფა

ეთანხმები კოტეს? დაასაბუთე, რატომ ცდება ის.

1 გაღრმავება

ამ პარაგრაფში შეძლებ:

- ცოდნის გაღრმავებას პრობლემების გადაჭრის გზით.



1. ა. შეუსაბამე პრეფიქსი 10-ის ხარისხს.

- | | | | | | | |
|--------|-----------|--------|-----------|-----------|-----------|------------|
| სანტი | მიკრო | გიგა | პიკო | კილო | | |
| 10^3 | 10^{-3} | 10^9 | 10^{-2} | 10^{-6} | 10^{-1} | 10^{-12} |

ბ. მიუწერე პრეფიქსები დარჩენილ 10-ის ხარისხებს.

2. გადაიყვანე:


- 1 კილოგრამი (კგ) = □გ
- 1 მეგაჯოული (მჯ) = □ჯ
- 1 გიგატონა (გტ) = □ტ
- ტერავატი (ტვტ) = □ვტ
- 1 დეცილიტრი (დლ) = □ლ

განმარტება

$$1 \text{ დეციმეტრი} = 0,1 \text{ მ}$$



3. მოცემულია მართკუთხა პარალელეპიპედი (კუბიდი).



რამდენია ზედაპირის ფართობი?

პასუხი დაამრგვალე მეასედამდე სიზუსტით.

4. დაწერე ერთი რიცხვის ხარისხის სახით.

- $11^7 \times 11^{-3} \div 11^{-2}$
- $\frac{7^{-7} \times 7^{-2}}{7^{-1} \div 7^8}$
- $3^{-13} \times 3^4 \div 3^{-5} \div 3^2$
- $\frac{5^{-3} \div 5^3}{5^{10} \times 5^{-3}}$

5. გამოთვალე:

- $3^{-3} \times 2^{-2} \times 2^{-1} \times 3^4$
- $\left(\frac{1}{2}\right)^{-3} \times \left(\frac{1}{3}\right)^{-1} \times \left(\frac{1}{2}\right)^2 \times \left(\frac{1}{3}\right)^{-1}$
- $\left(\frac{1}{2}\right)^{-2} \times \left(\frac{1}{3}\right) \times \left(\frac{1}{2}\right)^3 \times \left(\frac{1}{3}\right)^{-2}$
- $\left(\frac{1}{2}\right)^{-3} \times \left(\frac{1}{2}\right)^3$

6. **სინამდვილე / STEM** მეცნიერები ხშირად იყენებენ უარყოფით

მაჩვენებლებს, მაგალითად, $30 \text{ მ/ნმ} = 30 \text{ მმ}^{-1}$.

ჩაწერე უარყოფითი მაჩვენებლის გამოყენებით:

- კმ/სთ
- მ/წმ²
- კგ/მ³
- მლ/სთ

7. **STEM** ადამიანის ნაწლავებში 100 ტრილიონი მიკროორგანიზმია.

ეს 10-ჯერ აღემატება სხეულში უჯრედების რაოდენობას. დაწერე ორგანიზმში უჯრედების რაოდენობა სტანდარტული ფორმით.

განმარტება

$$1 \text{ ტრილიონი} = 1\,000\,000\,000\,000$$

მე-8 კითხვის სტრატეგია

დაწერე თითოეული რიცხვი
სტანდარტული ფორმით.

8. პრობლემის გადაჭრა დაალაგე ზრდის მიხედვით.

$$1,26 \times 10^{-3} \quad 0,12 \times 10^{-2} \quad 0,00124 \quad 1205 \times 10^{-6} \quad \frac{1}{8 \times 10^2}$$

თავი 1 თანრიგის ერთეულები, ხარისხი და სტანდარტული ფორმა



- 9. სინამდვილე** ცხრილში მოცემულია ინფორმაცია, თუ საიდან შეიტყვეს ადამიანებმა ფეხბურთის ტურნირის შესახებ.

ადამ. რაოდ. (3 თ.ე.)	
ოფიციალური ვებგვერდი	$1,12 \times 10^8$
აპლიკაცია	$2,20 \times 10^7$
ფეისბუქი	$4,55 \times 10^8$
ტვიტერი	$3,66 \times 10^7$

გამოიყენე მონაცემები წინადადებების დასასრულებლად.

- ა. დაახლოებით ჯერ მეტმა გაიგო ფეისბუქიდან, ვიდრე ვებგვერდიდან.
- ბ. დაახლოებით ჯერ მეტმა გაიგო ფეისბუქიდან, ვიდრე ტვიტერიდან.
- გ. დაახლოებით ჯერ მეტმა გაიგო ტვიტერიდან, ვიდრე აპლიკაციიდან.

- 10. დაალაგე ზრდის მიხედვით.**

- ა. $(2,3 \times 10^{-3}) \times (7,4 \times 10^{-2})$
- ბ. $(1,3 \times 10^{-2})^2$
- გ. $(5,3 \times 10^{-2}) \div (3,2 \times 10^2)$
- დ. $(1,091 \times 10^{-4}) + (6 \times 10^{-5})$
- ე. $(1,8 \times 10^{-4}) - (1,8 \times 10^{-5})$

- 11. გამოთვალე მოცემული რიცხვების შებრუნებული რიცხვები.**

პასუხი ჩანერე სტანდარტული ფორმით.

- ა. 2×10^9
- ბ. 8×10^7
- გ. 4×10^{-5}
- დ. $1,6 \times 10^{-4}$

- 12. სინამდვილე** 2008 წლის ივლისში კონკრეტული აპლიკაცია

$1,0 \times 10^7$ -ჯერ გადმოწერეს. 2008 წლის სექტემბერში 10-ჯერ მეტჯერ, 2009 წლის აპრილში კიდევ 10-ჯერ მეტჯერ, 2014 წლის ივნისში კი $7,5 \times 10^{10}$ -ჯერ.

- ა. რამდენჯერ გადმოწერეს აპლიკაცია 2009 წლის აპრილში?
- ბ. რამდენი იყო ზრდა 2008 წლის ივლისიდან 2014 წლის ივნისამდე?

- 13. STEM / მსჯელობა** უმცირესი ზომა, რომელსაც თვალი აღიქვამს,

10^{-4} მ-ია. ვირუსის ნანოლაკის დიამეტრია 170 ნმ.

შეძლებდი თუ არა 1 მილიონი შეჯგუფებული ვირუსის დანახვას?

- 14. STEM** ელექტრომაგნიტურ სპექტრში ტალღის სიხშირის გამოთვლის ფორმულაა:

$$f = \frac{c}{\lambda}, \text{ სადაც } c \text{ სინათლის სიჩქარეა, } \lambda - \text{ ტალღის სიგრძე.}$$

$$c = 3 \times 10^8 \text{ მ/ს}$$

რა სიხშირე აქვს:

- ა. წითელ სინათლეს, ტალღის სიგრძით $6,9 \times 10^{-7}$ მ.
 - ბ. ლურჯ სინათლეს, ტალღის სიგრძით $4,65 \times 10^{-7}$ მ.
- პასუხი დაწერე სტანდარტული ფორმით, სადაც 10-ის ხარისხის წინ მდებარე რიცხვი დამრგვალებული იქნება მეასედამდე სიზუსტით.

განმარტება

λ ბერძნული ასოა და გამოითქმის, როგორც ლამბდა.





15. მსჯელობა

ა. ამ რიცხვებიდან რომელს აქვს ერთი და იგივე მნიშვნელობა?

- | | | | | | |
|-----------|----------|------------------------------|------------------------------|----------|---|
| $(0,5)^3$ | 8^{-2} | $\left(\frac{1}{4}\right)^2$ | $\left(\frac{1}{2}\right)^3$ | 2^{-3} | $\left(\frac{1}{64}\right)^{\frac{1}{2}}$ |
|-----------|----------|------------------------------|------------------------------|----------|---|

ბ. რამდენაირად შეგიძლია ჩაწერო $\frac{1}{9}$?

16. სინამდვილე ცხრილში მოცემულია ბანგლადეშის, ჩინეთის, ინდოეთისა და პაკისტანის მოსახლეობები 2014 წელს.

ა. დააღავე ქვეყნები მოსახლეობის ზრდის მიხედვით.

ბ. რამდენია განსხვავება ინდოეთისა და ჩინეთის მოსახლეობებს შორის?

გ. რამდენით აღემატება ჩინეთის მოსახლეობა ინდოეთისას?

დ. რა არის ყველა ქვეყნის სრული მოსახლეობა?

მსოფლიოს მოსახლეობაა $7,183 \times 10^9$.


ე. მსოფლიოს მოსახლეობის რა ნაწილი ცხოვრობს ჩინეთსა და ინდოეთში?

ქვეყანა	მოსახლეობა 2014
ბანგლადეში	$1,556 \times 10^8$
ჩინეთი	$1,366 \times 10^9$
ინდოეთი	$1,247 \times 10^9$
პაკისტანი	$1,880 \times 10^8$

გამოწვევა

17. სინამდვილე / STEM / მოდელირება სამეცნიერო მუზეუმს მზის სისტემის მოდელის აგება სურს.

მასშტაბი არ არის გათვალისწინებული.



სურათზე რეალური მანძილებია მითითებული.

ამ მოდელში დედამიწა და მთვარე 10 სმ-ითაა დაშორებული. რამდენად შორს უნდა იყოს მოდელში მზე დედამიწისგან?

დისკუსია ეს კარგი მასშტაბია მოდელისთვის? მოიფიქრე სხვა მანძილები, რომელიც უკეთესი იქნება.

კვლევა

სინათლის სიჩქარეა 3×10^8 მ/წმ.

ა. რამდენ კილომეტრს დაფარავს სინათლე წელიწადში?

წელიწადში მზისგან 4,5 მილიარდი კმ-ითაა დაშორებული.

ბ. რა დრო სჭირდება მზის სხივს ნეპტუნამდე მისაღწევად?

მსჯელობა



18. ამ პარაგრაფში ბევრი ახალი ტერმინი ისწავლე. შექმენი ლექსიკონი, ჩამოწერე ახალი ტერმინები და განმარტე შენი სიტყვებით. შეადარე შენი და შენი თანაკლასელების განმარტებები ერთმანეთს.

მე-18 კითხვის მინიშნება

სინათლის წელიწადი არის მანძილი, რომელსაც სინათლე ერთ წელში გაივლის.

1 ტესტი

1. **სინამდვილე** სტადიონი 2020 წლის სუპერბოულის მატჩზე 98 025 მაყურებელს დაიტევს. ბილეთის საშუალო ფასია 120 ლიარი. დათვალე ბილეთებიდან მიღებული სრული შემოსავალი.

2. გამოთვალე:

ა. $\frac{4 + 3 \times 6 - 4}{3^2 - 4}$

ბ. $25(3^3 + 2) \div 5 \times 3$

3. დაამრგვალე რიცხვები მაქსიმალური თანრიგის ერთეულამდე და შეაფასე პასუხი.

ა. $1875 \times 5,36$

ბ. $\frac{285 \times 3,16}{11,2}$

4. ჩანერე სტანდარტული ფორმით.

ა. 820

ბ. 0,0000915

5. დაალაგე ზრდის მიხედვით.

$1,24 \times 10^{-2}$

$1,21 \times 10^{-4}$

$1,2 \times 10^2$

$1,23 \times 10^3$

$1,24 \times 10$

6. გამოთვალე და ჩანერე სტანდარტული ფორმით.

ა. $\frac{8,8 \times 10^8}{2,2 \times 10^3}$

ბ. $(2,5 \times 10^4) \times (5 \times 10^{-7})$



7. გამოთვალე და ჩანერე სტანდარტული ფორმით.

ა. $(1,505 \times 10^{-9}) \times (8,3 \times 10^4)$

ბ. $\frac{48,96 \times 10^3}{5,1 \times 10^{-3}}$

8. ჩანერე ერთი რიცხვის ხარისხის სახით.


ა. $6^3 \times 6^{-4}$

ბ. $3^{-4} \div 3^{-2}$

გ. $(7^{-3})^2$

დ. $\frac{4^{-4} \div 4^{-2}}{4^{-1} \times 4^{-1}}$

9. ა. დააჯგუფე შესაბამისი ბარათები ერთად.
თითოეულ ჯგუფში თითო ფერის თითო ბარათი უნდა იყოს.



- ბ. გადაიყვანეს:

 1. 9 გიგაჯოული ჯოულებში
 2. 13 კილოვატი ვატებში
 3. 8,5 მიკრონამი წამებში

 10. აფრიკული სპილო ინონის დაახლოებით 6 ტონას.
დედამიწა ინონის $5,97 \times 10^{24}$ კგ-ს.

- ა. რამდენი კილოგრამია ერთ ტონაში?
 - ბ. რამდენი ტონაა დედამიწა?
 - გ. რამდენი სპილოს მასაა დედამიწის მასა?
 - დ. დაუბრუნდი 1,4 პარაგრაფში მე-8 კითხვის მონაცემებს.

გამოწვევა

- 11.** პრობლემის გადაჭრა გამომცემლობამ გამოსცა გაზეთის $1,25 \times 107$ ასლი. თითოეული გაზეთი 16 ფურცლისგან შედგება.

a. რამდენი ფურცელი დასჭირდება ყველა გაზეთის დაბეჭდვას? ჩაწერე სტანდარტული ფორმით.

გაზეთის დასამზადებლად ფურცელი ორად იკეცება.

ბ. გაზეთების დასტის სიმაღლეა 125 სმ და შეიცავს 420 გაზეთს. გამოთვალი ფურცლის სისქი და ჩაწერე სტანდარტული ფორმით.

- 12. დაფიქრდი ამ თავის რომელი ამოცანა:**

 - ამოხსენი ყველაზე სწრაფად? რატომ?
 - ამოხსენი ყველაზე ძნელად? რატომ?
 - იყო ყველაზე საინტერესო? რატომ?